სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის

სხდომის

ოქმი N1

19 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 19 ივლისს სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მის. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. N3) გაიმართა სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ დირექტორატის წევრები:

- **დავით ლორთქიფანიძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი
- **ნინო ჭიპაშვილი** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი
- **ნიკა ახალბედაშვილი** - მუზეუმთა ჯგუფის (შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის) დირექტორი.

დავით ლორთქიფანიძემ შეხვედრის დასაწყისში დირექტორატის წევრებს მიმართა თხოვნით მუშაობის ფორმატსა და პრინციპებზე წინასწარ შეჯერების თაობაზე, თუ რომელი საკითხები მოითხოვს შეთანხმებას და რა შეიძლება გადაწყდეს ავტომატურად.

ნიკა ახალბედაშვილმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა გენერალურ დირექტორს შეხვედრისა და თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ მისასალმებელია პრინციპების დონეზე საკითხების განხილვა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა უნდა მოხდეს დებულებიდან გამომდინარე. აგრეთვე, მან სხდომის დღის წესრიგით განსახილველად გამოყო შემდეგი საკითხები:

I. დირექტორატის დებულების დამტკიცება;

II. ინფორმაცია მუზეუმთა ჯგუფში არსებული ზოგადი მდგომარეობისა და მიმდინარე საკითხების თაობაზე, კერძოდ:

- იუნესკოს დასკვნა; შენობის მდგომარეობის თაობაზე ჩატარებული კვლევის შედეგები;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 15 ივლისის N14916 ბრძანებით დამტკიცებული ხელოვნების მუზეუმის ევაკუაციის გეგმა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები;
- მუზეუმში მიმდინარე ფონდების ინვენტარიზაციის პროცესის ზოგადი მიმოხილვა;

- ჩეხეთიდან საქართველოს ეროვნული გალერეის კუთვნილი 4 ექსპონატის დაბრუნების საკითხი;
- საქართველოს ეროვნული გალერეის რემონტის საკითხი;
- 1980-იანი წლების მუზეუმის შენობიდან (RCC კორპუსიდან) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ორი ფონდის ექსპონატების გატანის, აღნიშნულზე გეგმა-გრაფიკის წარმოდგენის და სივრცის დაცლის საკითხი (მინისტრის 15 ივლისის ბრძანების შესაბამისად);
- მუზეუმთა ჯგუფის ბიუჯეტის დამტკიცება და მუზეუმთა ჯგუფის მიერ ევაკუაციის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას ეროვნული მუზეუმის შესაბამისი სამსახურების ჩართულობისა და მყისიერი რეაგირების უზრუნველყოფის საკითხი;
- მუზეუმთა ჯგუფის საშტატო განრიგის დამტკიცება;
- მუზეუმთა ჯგუფის 3 თვიანი შესყიდვის გეგმის დამტკიცება და გეგმის ფარგლებში 10%-იანი მოქნილობით დამოუკიდებელი შესყიდვების განხორციელებაზე ნებართვის მიღების საკითხი.

III. გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა:

- მუზეუმის ბიუჯეტის დამტკიცება;
- მუზეუმის საშტატო განრიგის დამტკიცება;
- მუზეუმის 3 თვიანი შესყიდვის გეგმის დამტკიცება და გეგმის ფარგლებში 10%-იანი მოქნილობით დამოუკიდებელი შესყიდვების განხორციელებაზე ნებართვის მიღების საკითხი;
- მესამე პირებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე ხელმომწერი პირების განსაზღვრა და აღნიშნულთან დაკავშირებით, გენერალური დირექტორის N93 ბრძანებაში ცვლილების შეტანა;
- ინფორმაცია მუზეუმში არსებული ზოგადი მდგომარეობისა და მიმდინარე საკითხების თაობაზე;
- მუზეუმში მიმდინარე ფონდების ინვენტარიზაციის პროცესის ზოგადი მიმოხილვა;
- მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების (მ. შ. ძვირფასი ლითონების ფონდის ექსპონატების) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და სხვა მუზეუმებიდან დაბრუნებისა და მათი მუზეუმის საცავში განთავსების საკითხი;
- მუზეუმის ფონდებში დაცული დაზიანებული ექსპონატების (რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენა-რესტავრაციას) შეფასება/ჩამოწერის საკითხი;
- მუზეუმის ექსპონატ ,,სვირის სახლში" განთავსებული რესტორან ,,რაჭის უბნის" საკითხისა და იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 ივლისის წერილის განხილვა.

მოისმინეს:

I. **საკითხი - დირექტორატის დებულების დამტკიცება**

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხია დირექტორატის უფლებამოსილების განსაზღვრა და მისი დებულების დამტკიცება. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დირექტორატის დებულების პროექტი, რომელიც ელ. ფოსტაზე გადაეგზავნა გენერალურ დირექტორს, მოიცავს მუზეუმის დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს და დამატებული აქვს ტექნიკური საკითხები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღსრულება.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა დირექტორატის წევრებს, დირექტორატის რომელიმე წევრის საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, თუ ვისზე მოხდება უფლებების დელეგირება. მანვე დასძინა, რომ მოადგილეს უნდა ჰქონდეს დირექტორის დროებით ჩანაცვლების უფლება.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ დირექტორატის დებულების თანახმად, დირექტორატის წევრების შეხვედრა გაიმართება 2 თვეში ერთხელ. ასევე, შეხვედრა შესაძლებელია შედგეს ონლაინ - ტელეხიდისა და ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ამასთანავე, მისი აზრით, ვინაიდან დელეგირება ადმინისტრაციული აქტია, შესაძლებელია მისი განხორციელება.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილ ხელოვნების მუზეუმის ახალ საშტატო ნუსხაში დირექტორის მოადგილის ორი შტატი იქნა გათვალისწინებული, ხოლო ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახურის მიერ მთლიანი ბიუჯეტიდან ამოკრეფილი მუზეუმთა ჯგუფის წილობრივი ასიგნებების ფარგლებში, მოახდინა ახალი საშტატო განრიგის ფორმირება.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მანაც ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით იხელმძღვანელა და ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის გამოყოფილი სახელფასო ფონდის ფარგლებში, განახორციელა ახალი საშტატო ნუსხის ფორმირება.

დ. ლორთქიფანიძე გაეცნო მუზეუმთა ჯგუფის საშტატო ნუსხის გრაფიკულ ვერსიას და დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილებები ხომ არ იწვევდა ფიზიკურად ადამიანების ცვლილებას. ასევე, მან აღნიშნა, რომ დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხა დირექტორატის დებულების პროექტის დეტალურად გაცნობა, თუმცა პრინციპები მისთვის მისაღებია და თუკი დელეგირების ნაწილი ჩაიდება ტექსტში მისთვის მისაღებია ეს ვარიანტი.

ნ. ახალბედაშვილმა ყურადღება გაამახვილა დებულებაში არსებულ საკითხზე, რომლის მიხედვით მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს დამოუკიდებელი შესყიდვა დამტკიცებული 3 თვიანი შესყიდვების ფარგლებში და დირექტორატის თანხმობის გარეშე შეძლოს 10%-ის ფარგლებში შეცვალოს დამტკიცებული გეგმა. მისი აზრით, აღნიშნული შესყიდვები გაწერილი უნდა იყოს შესყიდვების გეგმის ფარგლებში.

დ. ლორთქიფანიძემ აღუთქვა დირექტორატის წევრებს, რომ ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახური პირნათლად შეასრულებს თავის უფლება-მოვალეობებს.

II საკითხი - ინფორმაცია მუზეუმთა ჯგუფში არსებული ზოგადი მდგომარეობისა და მიმდინარე საკითხების თაობაზე

ნ. ახალბედაშვილმა ისაუბრა მეორე უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რაც უკავშირდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის N14916 ბრძანებას და მის აღსრულებას. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 1973 წელს აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი ითხოვდა ხელოვნების მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის საქმეში დახმარებას. ასევე, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის აზრით, მისთვის არ არის სახარბიელო ის დასკვნა, რომელიც დაიდო მუზეუმის ორი ფლიგელის შესახებ და მხოლოდ წინა ნაწილის აღდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს. თუმცა დასძინა, რომ საჭიროა გადაიდგას დასკვნის შესაბამისი ნაბიჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუზეუმთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებისა და თანამშრომლების ევაკუაციის და უსაფრთხო ადგილას გადაადგილების თაობაზე. მან დასძინა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია საგანძურის გადაადგილების საკითხი, რისთვისაც საქართველოში მოწვეულნი იყვნენ იუნესკოს ექსპერტები და ადგილზე შეისწავლეს საგანძურში დაცული 10 ყველაზე დაზიანებული ექსპონატის მდგომარეობა.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა ევაკუაციის გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული, კონკრეტულ ვადებში გაწერილი აქტივობების გრაფიკის შესაბამისად ზედმიწევნით შესრულების მნიშვნელობა და თითოეული აქტივობის შესრულებაზე პირადად მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხი. მისი აზრით, მიუხედავად ფუნქციების გამიჯვნისა, არსებობს ხიდები, რომლებიც მოითხოვს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვა სტრუქტურული დანაყოფების ჩართულობას და აქტიურ ქმედებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკა ახალბედაშვილმა გენერალურ დირექტორს სთხოვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის უზრუნველყოფაში დახმარების აღმოჩენა.

დ. ლორთქიფანიძემ დიდი მასშტაბის ისტორიულ მოვლენად მიიჩნია ხელოვნების მუზეუმის ევაკუაციის პროცესის დაწყება. აღნიშნა, რომ ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა ხელოვნების მუზეუმის რეაბილიტაციისთვის მზადება, მაგრამ დღემდე ვერ განხორციელდა. მან დახმარება აღუთქვა მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს ნებისმიერი აქტივობის შესრულების საქმეში. აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, არსებობს პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, მორალური მხარე. მისთვის მთავარია საქმის პროფესიულად სწორად, უშეცდომოდ დაგეგმვა და განხორციელება.

ნ. ახალბედაშვილმა სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა დირექტორატის წევრებს ჩეხეთში, საქართველოს საელჩოში დროებით გატანილი, სურათების ეროვნული გალერეის 4 ექსპონატის - ქართველი მხატვრების ფერწერული ტილოების საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობის თაობაზე. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ მუზეუმთა ჯგუფის მუზეუმების ფონდებში მიუხედავად თავდაპირველად არსებული სკეპტიციზმისა, აქტიურად

მიმდინარეობს ფონდების ინვენტარიზაციის პროცესი. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ 15 სექტემბრამდე ყველა მუზეუმმა უნდა დაასრულოს როგორც მუზეუმის ექსპონატების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზების ინვენტარიზაცია და მიმართა გენერალურ დირექტორს აღნიშნულის თაობაზე.

III საკითხი - 1980-იანი წლების მუზეუმის შენობიდან (RCC კორპუსიდან) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ორი ფონდის ექსპონატების გატანის, აღნიშნულზე გეგმა-გრაფიკის წარმოდგენის და სივრცის დაცლის საკითხი (საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 15 ივლისის N ბრძანების შესაბამისად)

დ. ლორთქიფანიძემ ისაუბრა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის უდიდეს დამსახურებაზე რეგიონალური მუზეუმების გაძლიერების საქმეში წლების მანძილზე შეტანილი წვლილისთვის. მან აღნიშნა, რომ სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში გამოფენილია ნიკო ფიროსმანაშვილის 15 ფერწერული სურათი, რომლებიც დროებით გადატანილია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან, ხოლო სიღნაღის მუზეუმის ექსპოზიციაში განთავსებული ექსპონატების 90% შეადგენს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდების მასალა. ასევეა, ბოლნისის მუზეუმშიც. დ. ლორთქიფანიძის აზრით, საკითხები, რომლებიც ეხება კოლექციების გაყოფას, მათ განთავსებას, წარმოადგენს სამეცნიერო დისკუსიის თემას. მან ასევე აღნიშნა, რომ ევაკუაციის გეგმა, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გულისხმობდა საცავების გაკეთებას, შინაარსობრივი ნაწილის სრულყოფას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ რეგიონების დახმარება წარმოადგენდა პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს. ასევე განმარტა, რომ 2001 წლიდან კულტურის სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობდა მოძრავი ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელება, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად დიდ ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმში დღემდე გრძელდება ინვენტარიზაციის პროცესი.

ნ. ახალბედაშვილმა ისაუბრა RCC-შენობის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ექსპონატებისგან დაცლის აუცილებლობის თაობაზე.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ RIXOS-ის მოპირდაპირე მხარეს იყო მუზეუმის მიწა, რომელიც იყო თავდაცვის სამინისტროსი და მეორე მხარეს იყო სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიწა, დაახლოებით 1000 კვ. მ. (ყოფილი სამარშრუტო ტაქსების გაჩერება). 3500 კვ.მ. ... ფაბრიკა იყო ადრე ამავე ტერიტორიაზე. მისი მოსაზრებით, იურიდიულად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ექსპონატი, თუმცა ფიზიკურად მეცნიერებთან ერთად უნდა განისაზღვროს მისი წარმოჩენისთვის საუკეთესო ადგილი.

ნ. ჭიპაშვილმა მიმართა გენერალურ დირექტორს, თუ რატომ არის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდის ექსპონატები დღემდე სიმონ ჯანაშიას მუზეუმში ყუთებში განთავსებული. ამასთან დასძინა, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო მუზეუმში, მათ შორის, ვერც ეთნოგრაფებისგან.

დ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და აღუთქვა გარკვევა ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან - ელდარ ნადირაძესთან. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მაშინაც კი, როდესაც თუნდაც მცირე ზომის ექსპონატი გადის ერთი ოთახიდან მეორეში, დგება აქტი, რომელშიც იწერება გადაადგილების მიზნობრიობა.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მაგალითად, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმიდან ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სარესტავრაციოდ გადატანილ ბალიშებზე არის აქტები გაფორმებული.

დ. ლორთქიფანიძის განმარტებით, მიღებული პრაქტიკაა, როდესაც საგამოფენოდ ან სარესტავრაციოდ დროებით ხდება ექსპონატების გადაადგილება. მაგალითად, საირხეს განძიდან ერთი ნიმუში საგამოფენოდ გადატანილია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

ნ. ახალბედაშვილის აზრით, მაშინ როდესაც ექსპონატების დროებით გაცემის ვადა არ აღემატება 1 წელს, რატომ ხდება აღნიშნული ვადის მუდმივად გაგრძელება წლების მანძილზე? მათ შორის, ბევრი ექსპონატია 2012 წლიდან გადატანილი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

დ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, აღნიშნული ნივთების დაბრუნების საკითხი უნდა გადაწყვიტოს კურატორთა საბჭომ. აგრეთვე, მისი აზრით, ფონდების მცველების უმეტესობა საქართველოშიც და საზღვარგარეთ, მუდმივად ცდილობს ექსპონატების ფონდებში „დამაგრებას". აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზას წარმოადგენს პროფესიული შეხვედრები, რომელზეც უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხები.

ნ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის ორი ექსპონატი - სარკოფაგი და დედაბოძი გადატანილია ბოლნისის მუზეუმში საგამოფენოდ.

დ. ლორთქიფანიძის აზრით, მეცნიერები დამოუკიდებლად უნდა წყვეტდნენ, თუ სად რომელი ექსპონატი უნდა იყოს წარმოდგენილი.

ნ. ახალბედაშვილმა საგამოფენოდ ექსპონატების მოძრაობასთან დაკავშირებულ თანამშრომლობაზე აღნიშნა, რომ ეს სამუზეუმო ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მუზეუმის RCC შენობიდან ჯანაშიას სახელობის მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების შენობიდან გადატანის საკითხს.

დ. ლორთქიფანიძემ დახმარება აღუთქვა დირექტორატის წევრებს ადმინისტრაციული საკითხების აღსრულებაში, ასევე RCC კორპუსიდან მონუმენტური მხატვრობის ფონდისა (კურატორი ნინო დათუნაშვილი) და ანა მოსიაშვილის კოლექციის გადატანისა და ამ სივრცის დაცლის საქმეში.

IV საკითხი - მუზეუმთა ჯგუფის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცება და მუზეუმთა ჯგუფის მიერ ევაკუაციის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას ეროვნული მუზეუმის შესაბამისი სამსახურების ჩართულობისა და მყისიერი რეაგირების უზრუნველყოფის საკითხი

დ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში მოხდებოდა თუ არა რომელიმე თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა. აგრეთვე, საკითხის უკეთ გასაცნობად მოითხოვა აღნიშნული თემის ი. ღვალაძისა და ს. მიქაძის მონაწილეობით განხილვა.

ნ. ახალბედაშვილმა წარმოადგინა მუზეუმთა ჯგუფის ახალი საშტატო ნუსხა და სტრუქტურა, რომლის მიხედვით მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს ჰყავს 2 მოადგილე. აგრეთვე, მოითხოვა მუზეუმთა ჯგუფის სამეცნიერო საბჭოს შექმნა. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით აპირებს მუზეუმთა ჯგუფის ადმინისტრაციის, სარესტავრაციო, დაცვა-აღრიცხვის და საგამოფენო განყოფილებების შექმნასაც.

დ. ლორთქიფანიძემ გამოთქვა პირადი მოსაზრება, რომლის მიხედვით ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა კომპეტენცია არ არის საკმარისად მაღალი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად და ცალკე მუზეუმთა ჯგუფის სამეცნიერო საბჭოს შესაქმნელად.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო საბჭოში იქნებიან მოწვეული სპეციალისტებიც და დროთა განმავლობაში მოხდება აღნიშნული საბჭოს დახვეწა და პოტენციალის მატება.

დ. ლორთქიფანიძემ შემდეგ სხდომაზე სამეცნიერო საბჭოს დიდი შემადგენლობის წარდგენა დააანონსა, რომელიც განიხილავს დიდ, მათ შორის, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებს. მან აგრეთვე დასძინა, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს აქვს უდიდესი იმპაქტ-ფაქტორი, რომელიც გზას უხსნის მუზეუმებს უფრო მეტი ფინანსების მოზიდვისაკენ. მისი აზრით, აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული მუზეუმის დირექტორმა უნდა შექმნას და დაამტკიცოს შიდა სტრუქტურა იმ ფორმით, ვინ რა შედეგის მიღწევას ითვალისწინებს მომავალში.

ნ. ახალბედაშვილის მოსაზრებით, შესაძლებელი იყო ახალი საშტატოს დამტკიცება.

ი. ღვალაძემ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე იკითხა, საიდან ხდებოდა მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის მოადგილის შტატის დაფინანსება.

ნ. ახალბედაშვილის განმარტებით, მუზეუმთა ჯგუფის ბიუჯეტი - 1 887 110 ლარი არის სოფო მიქაძისგან მიღებული ინფორმაცია, რომელიც ფაქტიური ხარჯიდან გამომდინარე ხელოვნურადაა გაყოფილი და ზღვრული ჭერის ფარგლებში მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებსაც და ხელშეკრულებების ანაზღაურებასაც. ამასთან, მუზეუმთა ჯგუფს 320 000 ლარს უმტკიცებს გრანტს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

სამინისტრო ნახატების შესყიდვისათვის, ხოლო 25 855 ლარი საჭიროა კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.

ი. ღვალაძე დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე შეიქმნა არსებული საშტატო ერთეულები.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის 664 საშტატო ერთეულიდან 177 ერთეული მუზეუმთა ჯგუფში შემავალი მუზეუმებისთვის იყო განსაზღვრული, ხოლო წარმოდგენილი ახალი საშტატო ნუსხის მიხედვით, მუზეუმთა ჯგუფის შტატები მცირდება 2 ერთეულით და შეადგენს 175 ერთეულს, მუზეუმთა ჯგუფის იმავე ასიგნებების ფარგლებში.

დ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა, აღნიშნული საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდგომ მოხდებოდა თუ არა სამსახურიდან თანამშრომლების დათხოვნა.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ მოხდებოდა სოფიო გაგოშიძის (რომელიც ბოლო 3 წლის მანძილზე ცხოვრობდა აშშ-ში) სამსახურიდან გათავისუფლდება, ვინაიდან საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, დარღვეულია დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულების საფუძვლები, არსებული რეგულაციით მხოლოდ 30 დღეა ის ვადა როდესაც დასაქმებულს სასწავლო მიზნების გამო უჩერდება ხელ-ბა, მაშინ როდესაც სოფიო გაგოშიძეს უკვე რამდენიმე წელი შეჩერებული აქვს. ასევე, უსაფრთხოების ორი ოფიცრის ნაცვლად გასაუბრების შემდეგ დარჩებოდა - 1. ამასთანავე, ვინაიდან აქამდე არსებული მართვის მოდელი წარმოადგენდა ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას და ადგილზე მოითხოვდა მენეჯერის არსებობას, ამჟამად იგეგმებოდა მმართველის შტატის გაუქმება, რომლის ფუნქცია-მოვალეობებიც იმეორებდა მუზეუმთა ჯგუფის დირექტორის ფუნქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკატერინე კიკნაძე, დარეჯან გოგაშვილი და მარინა გველესიანი გადაყვანილნი სხვა, შედარებით დაბალ თანამდებობაზე.

დ. ლორთქიფანიძემ სთხოვა ნ. ახალბედაშვილს, შეეფასებინა რისკები, რაც უკავშირდებოდა აღნიშნული სამი პიროვნების იურიდიულ უფლებას სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ იგი მოქმედებდა მაკონტროლებლის - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს ავალდებულებდა ყველა თანამშრომლის გადანიშვნას. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ რადგან საკადრო გადაწყვეტილებას თავად იღებდა, სრულ პასუხისმგებლობას გრძნობდა თავის ქმედებებზე. ამრიგად, მისი განმარტებით, საშტატო ნუსხაში ცვლილების განხორციელების შემდეგ ის თანამშრომელი, რომელიც ნაცვალგებით მიიღებდა ახალ თანამდებობას, გადაინიშნებოდა ახალ თანამდებობაზე, ხოლო თანამშრომელი, რომელიც წავიდოდა სამსახურიდან, მიიღებდა 2 თვის კომპენსაციას.

დ. ლორთქიფანიძემ ნ. ახალბედაშვილს მიმართა, თუკი ის პირადად იღებდა პასუხისმგებლობას, რომ თანამშრომლები არ გააპროტესტებდნენ დაგეგმილ ცვლილებებს, ზემოაღნიშნული სამი ადამიანისთვის გამოძებნიდა შეთავაზების გაკეთების შესაბამის ფორმას, იგი პრინციპების დონეზე აცხადებდა თანხმობას, ხოლო დეტალებზე მოლაპარაკებას აკისრებდა ნ. ახალბედაშვილს.

ნ. ახალბედაშვილმა მოითხოვა თანამშრომლების გაცვლა - დარეჯან გაბრიჭიძე, რომელიც ხელოვნების მუზეუმში მუშაობს, გაფორმებულია ჯანაშიას მუზეუმში, ხოლო შალვა ლეჟავა, რომელიც ჯანაშიას მუზეუმში მუშაობს, ხელოვნების მუზეუმის ფოტონეგატივების ფონდშია გაფორმებული. ასევეა, ნათია დემურიშვილის საკითხიც. მისი აზრით, ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ ნ. დემურიშვილზეც, როგორც ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელზე გამოიცემა ბრძანება ხელოვნების მუზეუმში მისი დანიშვნის თაობაზე.

ამრიგად, შედგა შეთანხმება მუზეუმთა ჯგუფის ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხაზე, ხოლო ი. ღვალაძემ აღნიშნა, რომ კომპიუტერების შესყიდვაზე დღესდღეობით საჭირო იყო მთავრობის დადგენილება, რაზედაც ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, ამ რესურსს წაიღებდა ხელოვნების ბიუჯეტში, ვინაიდან ეს იყო ციფრი, რომელიც შეთანხმდა სამინიტროს მიერ წლის დასაწყისში და გაიწერა, როგორც ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი არაფინანსური აქტივი. აღნიშნულ საკითხზე დირექტორატის წევრებს შორის შეთანხმება შედგა.

VI საკითხი - მუზეუმთა ჯგუფის 3 თვიანი შესყიდვის გეგმის დამტკიცება და გეგმის ფარგლებში 10%-იანი მოქნილობით დამოუკიდებელი შესყიდვების განხორციელებაზე ნებართვის მიღების საკითხი.

ი. ღვალაძე დაინტერესდა, მუზეუმთა ჯგუფს ეყოლებოდა თუ არა შესყიდვების კომისია, რაზედაც ახალბედაშვილმა მიუგო, რომ რესურსის უქონლობის გამო, ჯერჯერობით ვერ ახერხებდა შესყიდვების თანამშრომლის აყვანას, თუმცა ეროვნული მუზეუმის შესყიდვების სამსახურის თანამშრომლის ტექნიკურ დახმარებას ითხოვდა მომზადებული საკითხის შესახებ ინფორმაციის ატვირთვის მიზნით.

დ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა, გადაეცა თუ არა მუზეუმთა ჯგუფს სახლ-მუზეუმები. მისი აზრით, არ უნდა მოხდეს კოლექციების რღვევა, სახლ-მუზეუმები უნდა იყოს ერთიანი გასაღების ქვეშ, რათა არ მოხდეს მათი აღრევა. ამასთან მან გაიხსენა წარსული დრო, როდესაც საუბარი იყო ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის ცალკე გამოყოფაზე, რაც მისი აზრით, გაუმართლებელია.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა რომ ელენე ახვლედიანის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძის და უჩა ჯაფარიზის სახლ მუზეუმები ისტორიულად ეკუთვნის ხელოვნების მუზეუმს, მეტიც დღეს მოქმედი საშტატოს მიხედვით ხელოვნების მუზეუმის შტატში ირიცხებიან აღნიშნული სახლ მუზეუმების თანამშრომლები და ეს მიდგომა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

დირექტორატზე დამტკიცდა3 თვიანი შესყიდვების გეგმის შეთავაზებული პროექტები.

VII საკითხი - საქართველოს ეროვნული გალერეის რემონტის საკითხი.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა გალერეის გარემონტების საკითხი აუცილებლობა, ვინაიდან გალერეის ზედა სართული 2012 წლის შემდეგ არ გარემონტებულია საჭიროებდა რემონტს და ის აუცილებლად თვლიდა აღნიშნულის განხორციელებას.

დ. ლორთქიფანიძემ გამოთქვა მოსაზრება, ხელოვნების მუზეუმის რეაბილიტაციამდე არ მოიშალოს გალერეაში ქართული მხატვრობის მუდმივმოქმედი გამოფენები და ზოგადად, ემხრობა იმ აზრს, რომ გალერეის ზედა სართულიდან არ უნდა ჩამოიხსნას მუდმივმოქმედი კოლექციები (ფიროსმანი, გუდიაშვილი, კაკაბაძე)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა შეთანხმება, რომ დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა საექსპოზიციო სივრცეები საჭიროებს რემონტს და გენერალური დირექტორი მზად არის ყველა საჭირო რესურსით დაეხმაროს ინიციატივას.

VIII საკითხი - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის შეთანხმების (დამტკიცების) საკითხი.

ნ. ჭიპაშვილმა დირექტორატის წევრებს მუზეუმისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (დაანგარიშება მოახდინა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საფინანსო სამსახურმა) წარუდგინა გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ახალი საშტატო ნუსხის პროექტი. ახალი საშტატო განრიგის თანახმად, დღეისათვის მუზეუმში არსებული 41 საშტატო ერთეული მცირდება 12 ერთეულით, საიდანაც 6 ერთეული უქმდება (კერძოდ, მმართველის, მმართველის მოადგილის, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტის, რომელიც მივლენილ იქნა მუზეუმში კაფეს ამუშავების მიზნით (კაფე არ ფუნქციონირებს) და ასევე, სპეციალისტი ეკო განათლების მიმართულებით, რომელიც სამსახურში არ დადიოდა), ხოლო 6 ერთეული ემატება შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობას (რადგანაც 2 დამლაგებელი, 3 მუშა და 1 მოლარე იყვნენ შტატში). აღნიშნულიდან გამომდინარე, მუზეუმის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში რჩება 30 შტატიანი და 13 შტატგარეშე თანამშრომელი.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რადგან შტატების შემცირება ეროვნულ მუზეუმს არ აწყობდა, შესაძლებელი იყო პრინციპული შეთანხმება, არ გაუქმებულიყო გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის 6 შტატი და ისინი გადაენაწილებინათ იმ მუზეუმებში, სადაც არსებობს შტატების ნაკლებობა, მაგალითად, ბოლნისის ახლადგახსნილ მუზეუმში. სანაცვლოდ, გიორგი ჩიტაიას სახელობის მუზეუმს გამოეყოფოდა ,,საქონელსა და მომსახურების" მუხლში თანხა, შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების მიზნით.

ნ. ჭიპაშვილმა, უარი განაცხადა შტატების გადაცემაზე.

დ. ლორთქიფანიძე მუზეუმის საშტატო ნუსხის განხილვისას არ დაეთანხმა ჩიტაიას მუზეუმის დირექტორის მოსაზრებას ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსისთვის დირექტორზე მაღალი ანაზღაურების დანიშვნის თაობაზე.

ნ. ჭიპაშვილმა დაასაბუთა აღნიშნული თანამდებობის პირისთვის მაღალი ხელფასის დანიშვნის მიზეზი. მისი განმარტებით, მუზეუმის გამართული ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუზეუმში სანდო და პასუხისმგებლიანი კადრის შენარჩუნება. აღნიშნული პირი დღეისათვის მუზეუმში ასრულებს მეტად მნიშვნელოვან ფუნქცია-მოვალეობებს, რაც მომავალში მუზეუმს კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს. აგრეთვე, ნ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული პირისთვის მაღალი ხელფასის დანიშვნა გაუქმებული ვაკანსიების ხარჯზე ხდება.

იურისტის აყვანის საჭიროების შესახებ კითხვა დასვა **ი. ღვალაძემ,** რომელიც დაინტერესდა რა სახის სამუშაოს შეასრულებდა აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნული პირი.

ნ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ იურისტი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადებდა ყველა საჭირო დოკუმენტს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს ნ. ჭიპაშვილის წარმოდგენილი ბიუჯეტი და საშტატო განრიგი. (იხ. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიუჯეტი და საშტატო განრიგი).

IX საკითხი - მესამე პირებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე ხელმომწერი პირების განსაზღვრა და აღნიშნულთან დაკავშირებით, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის N93 ბრძანებაში ცვლილების შეტანა

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ გენერალური დირექტორის N93 ბრძანების თანახმად, მესამე პირთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე უფლებამოსილ პირად დღეისათვის განსაზღვრულია ირაკლი ღვალაძე. ნ. ახალბედაშვილმა ითხოვა არსებული ბრძანების გადამტკიცება, რათა დირექტორატის თითოეულმა წევრმა თავის ხელშეკრულებაზე შეძლოს ხელმოწერა და დაედოს ორგანიზაციის შტამპი.

დირექტორატზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გენერალური დირექტორის ბრძანებაში შევა ცვლილება და დირექტორატის წევრები განისაზღვრებიან მათდამი რწმუნებული მუზეუმების ნაწილში ხელშეკრულებებზე ხელმომწერ პირებად მესამე პირებთან ურთიერთობისას.

X საკითხი - ინფორმაცია მუზეუმში მიმდინარე საკითხებისა და ფონდების ინვენტარიზაციის პროცესის თაობაზე

ნ. ჭიპაშვილმა გააცნო დირექტორატის წევრებს მუზეუმში მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია.

XI საკითხი - მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების (მ. შ. ძვირფასი ლითონების ფონდის ექსპონატების) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და გიორგი ჩიტაიას

სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმიდან დაბრუნებისა და მათი მუზეუმის საცავში განთავსების საკითხი

ნ. ჭიპაშვილმა ითხოვა, უმოკლეს ვადაში მოხდეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება და მუზეუმის კუთვნილი ექსპონატების უკან დაბრუნება.

XII - ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცული დაზიანებული ექსპონატების (რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენა-რესტავრაციას) შეფასება/ჩამოწერის საკითხი

ნ. ჭიპაშვილმა გააცნო დირექტორატის წევრებს მუზეუმის ფონდებში (სულ 8 ფონდია) არსებული მდგომარეობა. მისი ინფორმაციით, ყველაზე დიდია ხის ფონდი. რამდენიმე ოდა სახლში არის ბევრი დაზიანებული ხის მასალა - დაახლოებით 4 000-მდე ერთეული. მუზეუმის თანამშრომლების ინფორმაციით, ბევრი ნივთია საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გადმოტანილი. საჭიროა სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც მოახდენს აღნიშნული ნივთების შეფასებას და ინვენტარიზაციის პარალელურად განხორციელდება მათი შერჩევა შემდგომში ჩამოწერის მიზნით. აგრეთვე, მუზეუმის ტერიტორიაზე უამრავი რკინის მასალაა განთავსებული, რომლისგანაც უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა. მაგალითად, მუზეუმის ტერიტორიაზე სასტუმრო ,,ივერიიდან" გადმოტანილია ჟანრული ნახატი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ღია ცის ქვეშ იყო დატოვებული და არის სერიოზულად დაზიანებული. ნ. ჭიპაშვილის აზრით აღნიშნული ნახატის გატანა უმოკლეს ვადებში უნდა განხორციელდეს მუზეუმის ტერიტორიიდან. აღნიშნული ღონისძიების ჩატარების მიზნით, განხორციელდა აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობა, კერძოდ განხორციელდა ფაქტების კონსტატაცია, რომლის დასკვნასაც უახლოეს მომავალში გამოგზავნის აღსრულების ეროვნული ბიურო. აღნიშნულთან დაკავშირებით, **ი. ღვალაძემ განმარტა** რომ დღეს მოხდა ეროვნული მუზეუმის მხრიდან აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ანგარიშსწორება. ლორთქიფანიძემ მზაობა გამოთქვა დროულად დასრულდეს ეს პროცესი.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ჯობს დროულად მოხდეს აღნიშნული მასალის გადარჩევა და თუ საჭირო იქნება, საქართველოს ეროვნული მუზეუმიდანაც შესაძლებელი იქნება თანამშრომლების დამატება.

XIII საკითხი - მუზეუმის ექსპონატ ,,სვირის სახლში" განთავსებული რესტორან ,,რაჭის უბნის" საკითხისა და იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 15 ივლისის წერილის განხილვა

ნ. ახალბედაშვილის აზრით, მაშინ როდესაც არსებობს ქონების სააგენტოს წერილი, აზრს კარგავს საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მსჯელობა.

ნ. ჭიპაშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა ეროვნულ მუზეუმს კომუნიკაცია ,,შპს ,,მეიდან ჯგუფთან".

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული მუზეუმი ,,მეიდან ჯგუფს" გადაუგზავნის ქონების წერილს იჯარის გაუქმების თაობაზე.

დირექტორატმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს დირექტორატის დებულება იმ დათქმით, რომ დირექტორატის წევრებს უფლება ექნებათ მიავლინონ წარმომადგენელი თუკი ვერ შეძლებენ სხდომაზე დასწრებას;
2. დამტკიცდეს მუზეუმთა ჯგუფის (საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, სიღნაღის ისტორიულ -ეთნოგრაფიული მუზეუმის და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა) საშტატო განრიგი, ბიუჯეტი და 3 თვიანი გეგმა (იხ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, სიღნაღის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის საშტატო განრიგი, ბიუჯეტი და 3 თვიანი შესყიდვების გეგმა);
3. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის N93 ბრძანებაში ხელშეკრულებებზე ხელმომწერი პირების განსაზღვრის თაობაზე;
4. გამოთავისუფლდეს მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე RCC კორპუსი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ექსპონატებისგან;
5. დაევალოს სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამის სტრუქტურებს სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორისა და დირექტორატის მეთვალყურეობით, მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინონ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ევაკუაციის გეგმის განხორციელების პროცესს.
6. დამტკიცდეს გიორგი ჩიტაიას სახელობის ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი, საშტატო განრიგი და 3 თვიანი შესყიდვების გეგმა, (იხ. გიორგი ჩიტაიას სახელობის ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი, საშტატო განრიგი და 3 თვიანი შესყიდვების გეგმა).
7. შეთანხმდეს,გიორგი ჩიტაიას მუზეუმის ფონდებში დაცული დაზიანებული ექსპონატებისა და ასევე დაზიანებული მატერიალურ ტექნიკური ინვენტარის უმოკლეს ვადებში შეფასება /ჩამოწერის საკითხი.

8. მიენიჭოს შპს "მეიდან ჯგუფთან" სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახელით მოლაპარაკების წარმოების, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა/გაგრძელებისა და სასამართლო წარმომადგენლობის უფლებამოსილება სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორს, ნინო ჭიპაშვილს.
9. დამტკიცდეს სხდომის ოქმზე თანდართული დოკუმენტები.

დირექტორატის წევრები:

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი — დავით ლორთქიფანიძე

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს
ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის
დირექტორი — ნინო ჭიპაშვილი

მუზეუმთა ჯგუფის (შალვა ამირანაშვილის
სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის,
დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს
ეროვნული გალერეის, სიღნაღის ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მუზეუმის) დირექტორი — ნიკა ახალბედაშვილი

სხდომის ოქმი შეადგინა საქართველოს კულტურის, — მაკა სოხაძე

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის

აკადემიკოსს დავით ლორთქიფანიძის

მოსაზრება ამა წლის 9 ივლის ჩატარებული დირექტორატის სხდომაზე (ოქმი N1, 19.07.2021წ) მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების შესახებ:

გაცნობებთ, ჩემს მოსაზრებებს, ამა წლის 9 ივლის ჩატარებული დირექტორატის სხდომაზე (ოქმი N1, 19.07.2021წ) მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების შესახებ და ვაფიქსირებ, რომ არ ვეთანხმები ოქმში წარმოდგენილ ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად არ ვიზიარებ პასუხისმგებლობას მიღებულ შედეგებზე.

ამ გადაწყვეტილებებით ხდება სამსახურიდან მაღალკვალიფიციური თანამშრომლების დათხოვნა ან გადაყვანა დაბალ პოზიციაზე ან სათანადო კრიტერიუმების გარეშე პირიქით ხელფასის მნიშვნელოვანად გაზრდა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ინსტიტუციაში შრომის ანაზღაურების ზრდა განხორციელდეს სისტემურად რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ობიექტური კრიტერიუმები როგორიცაა: თანამშრომლის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, სამეცნიერო ხარისხი, წელთა ნამსახურება და სხვა მსგავსი კრიტერიუმები. სუბიექტური შეხედულებებით ღვაწლმოსილი თანამშრომლების სამსახურიდან განთავისუფლების ან მათთვის ხელფასის შემცირების ხარჯზე ცალკეული ნაკლებადკვალიფიციური თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების გაზრდა მიმაჩნია არასწორ გადაწყვეტილებად.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

გენერალური დირექტორი

დავით ლორთქიფანიძე

26.07.2021

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის

გადაწყვეტილება №1

2021 წლის 19 ივლისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **№110/ნ** ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატი ადგენს:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის დებულება "თანდართული სახით.
2. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის 2016 წლის 31 ოქტომბრის №1260 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლეგიალური სათათბირო ორგანოს - დირექტორატის დებულება".
3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი,
საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - საქართველოს ეროვნული
მუზეუმის დირექტორატის გენერალური
დირექტორი

დავით ლორთქიფანიძე

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს
ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის
მუზეუმის დირექტორი

ნინო ჭიპაშვილი

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული
გალერეისა და სიღნაღის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმის დირექტორი

ნიკა ახალბედაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის (შემდგომ - დირექტორატი) უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს.
2. დირექტორატი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე.
3. დირექტორატის ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი, ა. ფურცელაძის ქუჩა №3

მუხლი 2. დირექტორატის უფლებამოსილება

დირექტორატი:

ა) მართავს და ხელმძღვანელობს სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს (შემდგომში - ეროვნული მუზეუმი).

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნული მუზეუმისა და მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფებისთვის პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული საფინანსო სახსრების სამართლიანი განაწილების თაობაზე და ახორციელებს ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვის მონიტორინგს;

გ) ამტკიცებს და სამინისტროსთან ათანხმებს ეროვნული მუზეუმისა და მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდს, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ეროვნული მუზეუმისა და მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესს, სამსახურებრივ ინსტრუქციებსა და მომსახურების საფასურს;

ე) ამტკიცებს მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის დებულებებს;

ვ) ამტკიცებს კვარტალური შესყიდვების გეგმას მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფისთვის, რომლის ფარგლებშიც, მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის ხელმძღვანელ დირექტორატის შესაბამის წევრს უფლება აქვს:

ვ.ა) დირექტორატისგან დამოუკიდებლად განახორციელოს კვარტალური შესყიდვები;

ვ.ბ) განახორციელოს ცვლილებები კვარტალური შესყიდვების ამგვარად დამტკიცებული გეგმის ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში;

ზ) კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული მუზეუმისა და მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის ქონების გამოყენების თაობაზე;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელს აწერენ დირექტორატის წევრები;

ი) ამტკიცებს სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობასა და ადგენს საბჭოს დებულებას;

კ) იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული მუზეუმისა და მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის მიერ მინდობილობის გაცემისა და გარიგებების დადების თაობაზე, თუ ამ დებულებით სხვა რამ გათვალისწინებული არ არის;

ლ) ისმენს დირექტორატის წევრის ყოველკვარტალურ ანგარიშ მისდამი დაქვემდებარებულ მუზეუმში/მუზეუმთა ჯგუფში შესრულებული სამუშაოს შესახებ, ფინანსური ანგარიშგების ჩათვლით.

მუხლი 3. დირექტორატის შემადგენლობა

1. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისა და სამი დირექტორისგან.
2. დირექტორატის წევრები არიან მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალი მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის დირექტორები:

   ა) სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი (შემდგომ - გენერალური დირექტორი);

   ბ) შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი;

   გ) გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი;

   დ) ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი.
3. დირექტორატის წევრის სამუშაო არ ანაზღაურდება.

მუხლის 4. დირექტორატის წევრი

დირექტორატის წევრი - მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი:

ა) ესწრება დირექტორატის სხდომებს და მონაწილეობს დირექტორატის მიერ მუზეუმთა გაერთიანების მართვაში;

ბ) უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს მუზეუმთა გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია;

გ) უფლებამოსილია დავალებები მისცეს მუზეუმთა გაერთიანების იმ სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც საერთო ორგანიზაციულ საქმიანობას წარმართავს;

დ) უფლებამოსილია დირექტორატის სხვა წევრებთან ერთად თანაბრად განკარგოს მუზეუმთა გაერთიანების ის ქონება და მატერიალური აქტივი, რომლებიც მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის გამართული ფუნქციონირებისთვისაა საჭირო.

მუხლი 5. დირექტორატის საქმიანობის ორგანიზება

1. დირექტორატი თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. დირექტორატის სხდომას არანაკლებ 2 თვეში ერთხელ იწვევს გენერალური დირექტორი. დირექტორატის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს დირექტორატის რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე.
2. დირექტორატის სხდომა შეიძლება გაიმართოს დისტანციურად, ტელეხიდის მეშვეობით.
3. აუცილებელი და გადაუდებელი შემთხვევების დროს, დირექტორატის სხდომის გამართვის გარეშე, შესაძლებელია გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დირექტორატის უმრავლესობის შეთანხმებით.
4. გენერალური დირექტორი ორგანიზებას უწევს დირექტორატის საქმიანობასა და უძღვება დირექტორატის სხდომებს.
5. გენერალური დირექტორის არყოფნისას სხდომას უძღვება რომელიმე დირექტორი.
6. დირექტორატის წევრი უფლებამოსილია, დირექტორატის სხდომაზე მიავლინოს წარმომადგენელი, რომელიც სარგებლობს დირექტორატის მოცემული წევრის სრული უფლებამოსილებით.
7. დირექტორატის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი, დირექტორატის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობითა და ღია კენჭისყრით. ხმების გაყოფისას გადამწყვეტია გენერალური დირექტორის ხმა.
8. დირექტორატის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორატის სხდომის ყველა დამსწრე წევრი. სხდომაზე დამსწრე წევრის განსხვავებული მოსაზრების არსებობისას ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. განსხვავებული მოსაზრება აისახება წერილობით და დაერთვება დირექტორატის სხდომის ოქმს.
9. სხდომის დღის წესრიგი დირექტორატის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 კალენდარულ დღეში.
10. დირექტორატის წევრს შეუძლია მოითხოვოს სხდომის დღის წესრიგში კონკრეტული საკითხის შეტანა, რის შესახებაც მან საბჭოს მდივანს წერილობით უნდა აცნობოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 2 დღით ადრე.
11. დირექტორატის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს დირექტორატის მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორატი.
12. დირექტორატის მდივანი უზრუნველყოფს დირექტორატის საქმისწარმოებას, სხდომების მოწვევას, ამზადებს მასალებსა და ასრულებს დირექტორატის სხვა დავალებებს.
13. დირექტორატის სხდომის ოქმს სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარულ დღეში ადგენს დირექტორატის მდივანი და უგზავნის დირექტორატის წევრებს.

14. დირექტორატის მდივნობა შეიძლება შეუთავსდეს მუზეუმის გაერთიანების მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის თანამშრომელს.
15. დირექტორატის მდივნის სამუშაო არ ანაზღაურდება.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დირექტორატის გადაწყვეტილებით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის 2021 წლის ბიუჯეტი

ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი			ფაქტიური ხარჯი 01. ივლისის მდგომარეობით			ბიუჯეტი ივლის-დეკემბრის თვეებში		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები
შემოსულობები	2,007,110.0	1,887,110.0	120,000.0	1,045,039.4	1,010,532.4	34,507.0	947,480.0	877,480.0	70,000.0
შემოსავლები	2,007,110.0	1,887,110.0	120,000.0	1,045,039.4	1,010,532.4	34,507.0	947,480.0	877,480.0	70,000.0
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	1,887,110.0	1,887,110.0		1,010,532.4	1,010,532.4		877,480.0	877,480.0	
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	120,000.0		120,000.0	34,507.0		34,507.0	70,000.0		70,000.0
გრანტები	0.0			0.0					
სხვა შემოსავლები	0.0			0.0			0.0		
გადასახდელები	2,007,110.0	1,887,110.0	120,000.0	1,087,439.0	1,010,532.4	76,906.6	947,480.8	877,480.8	70,000.0
ხარჯები	1,981,255.0	1,861,255.0	120,000.0	1,087,439.0	1,010,532.4	76,906.6	921,625.8	851,625.8	70,000.0
შრომის ანაზღაურება	1,328,400.0	1,328,400.0		626,745.9	626,745.9		702,554.0	702,554.0	
საქონელი და მომსახურება	650,338.0	530,338.0	120,000.0	459,434.8	382,528.2	76,906.6	217,809.8	147,809.8	70,000.0
პროცენტი	0.0			0.0			0.0	0.0	
სუბსიდიები	0.0			0.0			0.0	0.0	
გრანტები	0.0			0.0			0.0	0.0	
სოციალური უზრუნველყოფა	0.0			0.0			0.0	0.0	
სხვა ხარჯები	2,517.0	2,517.0		1,258.3	1,258.3		1,262.0	1,262.0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,855.0	25,855.0	0.0	0.0			25,855.0	25,855.0	0.0
მ.შ კომპიუტერი	25,855.0	25,855.0		0.0			25,855.0	25,855.0	
მ.შ ნახატი, ქანდაკება, ხელოვნების სხვა ნიმუშები, ანტიკვარიატი და ძვირადღირებული კოლექციები	0.0			0.0					

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა და სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი

სტრუქტურული ერთეული	საჯარო მოხელის თანამდებობა	რაოდენობა	სარგო		
		სამტატო ერთეული	სარგო დარიცხული	სარგო ხელზე ასაღები	თვიური ხელფასის ფონდი
ხელმძღვანელობა	დირექტორი	1	1900	1520	1900
	დირექტორის მოადგილე	2	1700	1360	3400
ადმინისტრაცია	განყოფილების უფროსი	1	1400	1120	1400
	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	1300	1040	1300
	მთავარი სპეციალისტი	3	900	720	2700
	უფროსი სპეციალისტი	1	820	656	820
	სპეციალისტი	2	700	560	1400
	მოლარე	4	550	440	2200
	კონსტულტანტი	3	250	200	750
სარესტავრაციო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1400	1120	1400
	უფროსი სპეციალისტი	1	820	656	820
	კონსერვატორი	22	700	560	15400
	ასისტენტ კონსერვატორი	1	620	496	620
	სპეციალისტი	1	700	560	700
საგამოფენო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1400	1120	1400
	მიმართულების ხელმძღვანელი	1	900	720	900
	უსაფრთხოების ოფიცერი	1	850	680	850
	ლაბორანტი	1	500	400	500
	დარბაზის ადმინისტრატორი	2	500	400	1000
	ზედამხედველი	21	500	400	10500
	სპეციალისტი	4	700	560	2800
სამეცნიერო საგანმანათლებლო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1400	1120	1400
	მიმართულების ხელმძღვანელი	1	1100	880	1100
	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	2	820	656	1640
	მეცნიერ თანამშრომელი	10	700	560	7000
	სივრცის მთავარი კურატორი	1	820	656	820
	სივრცის უფროსი კურატორი	1	700	560	700
	სპეციალისტი	4	700	560	2800
	უფროსი ასისტენტი	1	580	464	580
	ასისტენტი	2	460	368	920
	სივრცის კურატორი	2	550	440	1100
	გიდი-პედაგოგი	13	550	440	7150
დაცვა ალრიცხვის განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1400	1120	1400
	სპეციალისტი	1	700	560	700
	უფროსი ასისტენტი	1	500	400	500
	ლაბორანტი	1	500	400	500
ფონდები	მთავარი კურატორი	2	950	760	1900
	უფროსი კურატორი	3	820	656	2460
	კურატორი	10	700	560	7000
	ასისტენტ კურატორი	9	620	496	5580
	უფროსი ლაბორანტი	3	520	416	1560
	ლაბორანტი	6	500	400	3000
	უფროსი ასისტენტი	1	580	464	580
სახლმუზეუმები	უფროსი ასისტენტი	4	580	464	2320
	სპეციალისტი	2	700	560	1400
საქართველოს ეროვნული გალერეა	ასისტენტ კურატორი	5	620	496	3100
	ლაბორანტი	4	500	400	2000
	ასისტენტი	5	460	368	2300
სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი	ადმინისტრატორი	1	1500	1200	1500
	სპეციალისტი	1	400	320	400
	ასისტენტი	2	460	368	920
		175	**40500**	**32400**	**117090**

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

2021 წლის 3 თვის (ივლისი-სექტემბერი) შესყიდვების გეგმა

- გალერეის მე-2 სართულის რემონტი;
- ფერწერული ნამუშევრების შესყიდვა;
- გალერეის საგამოფენო სივრცეებისთვის დამცავი ბარიერების შესყიდვა;
- ფოტონეგატივების ფონდში დაცული ნეგატივებისთვის კონვერტების შესყიდვა, 31 830 ნეგატივისთვის საჭიროა 1800 კგ. ქაღალდი;
- სიღნაღის მუზეუმისთვის DVD წამკითხველი, 2 ერთეული;
- სიღნაღის მუზეუმისთვის პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- სიღნაღის მუზეუმის გარე ბანერი;
- სიღნაღის მუზეუმისთვის ფოტოაპარატი;
- სიღნაღის მუზეუმისთვის საოფისე კარადა 2 ერთეული;
- სიცხის საზომი თერმომეტრი 4 ერთეული;
- ლეპტოპი - 20 ერთეული;
- კომპიუტერი - 5 ერთეული;
- პრინტერი - 6 ერთეული;
- შრედერი - 1 ერთეული;
- კომპიუტერის მაუსი - 5 ერთეული;

სხვადასხვა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი:

კარტრიჯი - 10 ცალი;
A4 ფურცელი - 15 შეკვრა;
ფაილი - 20 შეკვრა;
საზომი რულეტკა - 10;
მყარი დისკი - 5;
ფლეშკა - 10;
სამედიცინო ხელთათმანი - 10 შეკვრა;
საშლელები,მარკერები, ფანქრები (შავი,ლურჯი საშუალო ზომის,წვრილი 20-20 ცალი);
საწერი კალმები - 100;
სამედიცინო ბამბა - 50 შეკვრა;
ზეთის საღებავი - სარესტავრაციო სხვადასხვა ფერის 10 ტიუბიკი;
გამხსნელი #4 – 20 ბოთლი 220მლ;
წებო - 10 ერთეული;
სკოჩი დიდი - 20 ცალი;

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის საშტატო განრიგი			
	თანამდებობა	რაოდენობა	სარგო დარიცხული
	შტატები		
	ხელმძღვანელობა		
1	დირექტორი	1	1900
2	ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის უფროსი	1	2700
	ტექნიკური სამსახური		
3	წამყვანი სპეციალისტი	1	950
4	წამყვანი სპეციალისტი(დურგალი)	1	950
5	უფროსი სპეციალისტი(დურგალი)	1	820
	საექსკურსიო -ტურისტული და მოხალისეების მოზიდვის ჯგუფი		
6	გიდი-პედაგოგი	1	550
7	გიდი-პედაგოგი	1	550
8	გიდი-პედაგოგი	1	550
9	გიდი-პედაგოგი	1	550
	არქიტექტურული ჯგუფი		
10	უფროსი სპეციალისტი	1	820
	ექსპოზიციების უსაფრთხოების ჯგუფი		
11	ზედამხედველი	1	500
12	ზედამხედველი	1	500
13	ზედამხედველი	1	500
14	ზედამხედველი	1	500
15	ზედამხედველი	1	500
16	ზედამხედველი	1	500
17	ზედამხედველი	1	500
18	ზედამხედველი	1	500
19	ზედამხედველი	1	500
	შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი/ექსპოზიციების უსაფრთხოების ჯგუფი		
20	კონსულტანტი	1	200
	თბილისის კოლექციების (ფონდები) აღრიცხვა-დაცვის და მართვის სექტორი		
21	სპეციალისტი	1	700
22	ასისტენტი	1	460
23	ასისტენტი	1	460
24	ასისტენტი	1	460
25	უფროსი კურატორი	1	820
26	უფროსი კურატორი	1	820
27	ასისტენტ-კურატორი	1	620
28	ასისტენტ-კურატორი	1	620
29	კურატორი	1	700
	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფი		
30	სპეციალისტი - ვაკანტური	1	700
		30	**21400**
		ჯამური რაოდენობა	*30*
	შტატგარეშეები		
1	მგველი	1	570
2	მეთვალყურე	1	400
3	ექაკურსია მძღოლი	1	570
4	ბილეთების რეალიზატორი	1	450
5	უფროსი სპეციალისტი (მუშა)	1	820
6	უფროსი სპეციალისტი (მუშა)	1	820
7	უფროსი სპეციალისტი (მუშა)	1	820
8	მოლარე	1	550
9	დამლაგებელი	1	460
10	დამლაგებელი	1	500
1	მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1800
2	ზედამხედველი	1	500
3	იურისტი	1	1500
		ჯამური რაოდენობა	*9760*

31,160

ეთნოგრაფიული მუზეუმი

2021 წლის მიმდინარე 3 თვის შესყიდვის გეგმა

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	პერსონალური კომპიუტერი	7	1200	8400
2	პრინტერი	3	700	2100
3	შრედერი	2	500	1000
4	საკაცელარიო ნივთები	1	5000	5000
5	საოფისე სავარძელი	10	650	6500
6	ჰიგიენური საშუალებები	1	3000	3000
7	ცოცხი ეზოს	6	20	120
8	პლასმასის 200 ლიტრიანი კასრი	10	300	3000
9	სარწყავი დოქი	12	50	600
10	ბუკლეტები	15,000.00	1.75	26250
11	გარე რუქები და მანიშნებლები	50	150	7500
12	რეკლამა	1	1000	1000
13	ფოტოაპარატი	1	1500	1500
14	მუზუემის ბანერი	1	2500	2500
15	სხავდასხვა	1	3000	3000
				71470

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი

0.79 -

	გეგმა ქერის ფარგლებში		ფაქტიური ხარჯი 01.07. 2021 ის მდგომარეობით		წლის ბოლომდე საჭირო ხარჯები	
ქვეპროგრამა "ადმინისტრაციული მართვა და კონტროლი"	საბიუჯეტო ასიგნებები	საკუთარი შემოსავლები	საბიუჯეტო ასიგნებები	საკუთარი შემოსავლები	საბიუჯეტო ასიგნებები	საკუთარი შემოსავლები
სულ ხარჯი	358,886.8	49,131.1	182,139.0	25,121.1	176,747.0	24,010.0
ხარჯები	**358,886.8**	**49,131.1**	**182,139.0**	**25,121.1**	**176,747.0**	**24,010.0**
შრომის ანაზღაურება	**335,640.0**	**2,400.0**	**159,325.6**	**1,200.0**	**141,470.0**	**1,200.0**
საქონელი და მომსახურება	**22,380.0**	**46,731.1**	**22,380.0**	**23,921.1**	**34,844.0**	**22,810.0**
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება		45,120.0		22,560.0	29,030.0	21,760.0
სხვა ხარჯები	**866.8**	-	**433.4**	-	433.0	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-